

ძირითადი საქმიანობა

შპს „iBuild“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2013 წლის 30 იანვარს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას VI კვ., კორპ. 22, ბ. 51. კომპანიის დამფუძნებლებია ვაჟა მამნიშვილი - 25%, ავთანდილ ძაგანიშვილი - 25 %, გიორგი ძაგანიშვილი - 25 %, ირაკლი ძაგანიშვილი - 25 %.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სამშენებლო პროექტის შემუშავება.

დანართი N1 და დანართი N2-ში მოცემულია 2021 წლის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის არა აუდიტირებული ანგარიშგება.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	1/1/2021	12/31/2021
ლარი საბანკო ანგარიშებზე	114,453	2,925
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	3 344,528	1,177,017
ნაღდი ფული სალაროში	2	2
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	2	2
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	3,458,984	1,179,943

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედეგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

	1/1/2021	12/31/2021
სავაჭრო მოთხოვნები	4,190	10,420
სულ მიმდინარე მოთხოვნები	4,190	10,420

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების, დაუმთავრებელ წარმოებას და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხული მარაგები არ წარმოადგენს მალეფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

	1/1/2021	12/31/2021
სავაჭრო საქონელი	3.929.862	7.629.156
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3.929.862	7.629.156

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

• ოფისის აღჭურვილობა	10-20
• კომპიუტერული ტექნიკა	10-20
• სატრანსპორტო საშუალებები	10-20
• ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10

	სამშენებლო მოწყობილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები
საწყისი ღირებულება				
ბალანსი 01/01/2021	44.321	6.821	6.579	1.695
აკუმულირებული ცვეთა ბალანსი 01/01/2021	(33.645) 10.676	(3.902) 2.919	(6.310) 269	(448) 1.247
აქტივების ჩამოწერა ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი აქტივების ცვეთა ბალანსი 31/12/2021	(2,249) 17.467	(6.130) 12.769	(6.667) 1.179	(659) 1.157
ბალანსი 01/01/2021	10.676	2.919	269	1.247
ბალანსი 31/12/2021	17.467	12.769	1.179	1.157

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
- ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების წარაღობით შემცირებული ღირებულებით.

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

	პროგრამული უზრუნველყოფა
საწყისი ღირებულება	
ბალანსი 01/01/2021	499
აკუმულირებული ცვეთა	(499)
დანამატი	-
ცვეთა პერიოდისათვის	(499)
ბალანსი 31/12/2021	499
ბალანსი 01/01/2018	0
ბალანსი 31/12/2018	0

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აღიარდება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელოფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახდები.

	1/1/2021	12/31/2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	154.794	124.631
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	10.035	554.297
გადასახდელი ხელოფასები	19.717	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები - მიღებული ავანსები	6.013.827	8.892.813
სულ მიმდინარე ვალდებულებები	6,198,373	9,571,741

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში დივიდენდები არ იყო გაცემული გამოცხადებული დივიდენდი მიკუთვნებულია იმ საანგარიშო პერიოდს რომელ პერიოდშიც მოხდა მისი განაწილება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შელავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

	12/31/2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	25,752
ფასდათმობა	0
გაყიდული მარაგის თვითღირებულება	(17,081)
სულ წმინდა შემოსავალი	8,671

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელოვანის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

	<u>12/31/2021</u>
შრომის ანაზღაურება	323,761
სოციალური დანარიცხები	17,697
საწვავის ხარჯი	783
სამეურნეო ხარჯი	3,830
კომუნალური ხარჯი	7,785
საიჯარო ქირა	30,414
კომუნიკაციის ხარჯი	236
საპროცენტო ხარჯები	2,079
საბანკო ხარჯი	59,306
მივლინების ხარჯი	564
 საგადასახადო ხარჯი	 1,166
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	10,626
	458,247

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	01.01.2021	31.12.2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივი		
ძირითადი საშუალებები	15.111	32.572
სულ გრძელვადიანი აქტივები	15.111	32.572
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3.929.862	7.629.156
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	192.771	736.400
სავაჭრო მოთხოვნები	4.199	10.420
ფული და ფულის ექვივალენტები	3.458.984	1.179.943
სულ მიმდინარე აქტივები	7.585.816	9.555.919
სულ აქტივები	7.600.927	9.558.491
კაპიტალი		
კაპიტალი	769,397	610,651
გაუნაწილებელი მოგება	626.750	-39.604
სულ კაპიტალი	1,396,147	571,047
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	16,442	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები	16,442	0
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,168,621	9,017,444
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	19,717	-
გადასახდელი გადასახადები		
გადასახდელი პროცენტები		
სულ მიმდინარე ვალდებულებები	6,188,338	9,017,444
სულ ვალდებულებები	6,204,780	9,017,444
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	7,600,927	9,588,491

სრული შემოსავლის ანგარშება

	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	25,572
თვითღირებულება	(17,081)
მთლიანი მოგება	8,671
ადმინისტრაციული ხარჯი	(104,072)
ხელფასის ხარჯი	(323,761)
ცვთვის ხარჯი	(6,188)
იჯარის ხარჯი	(30,414)
საოპერაციო მოგება	-455,764
არასაოპერაციო შემოსავალი	31,794
არასაოპერაციო ხარჯი	(25,479)
ფინანსური შედეგი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-
საპროცენტო ხარჯი	(2,079)
მოგება-ზარალი საკუთროსო სხვაობიდან	(205,856)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	(201,620)
მოგება დაბეგრვამდე	-666,055
მოგების გადასახადი	
წმინდა მოგება	-666,055
სხვა სრული შემოსავალი	-
სულ სრული შემოსავალი	-666,055

დირექტორი

გიორგი ძაგანიშვილი

26.10.2022

